პროლეტარიგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

5 ივნისი ხუთშაბათი 1969 წელი 2 ქაჯ.

გამოცემის 50-ე წელი № 129 (14429)

215.000 ტონა ჩაისათვის

გეგმა სამმაგად

მეჩაიეობა შორის გაჩაღებულ შეჯიბრებაში დაწინაურდა ჯუგდიდის რაიონის სოფელ რეხის კოლმეურნეობა „საქართველოს“ მეორე რგოლის წევრი თ. გულუა. იგი დღეში 75-80 კილოგრამ ხარისხოვან ჩაის ფოთოლს კრეფს ნაცვლად 25 კილოგრამისა. სურათზე: თ. გულუა.

ფოტო ბ. გოგოხიანი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირზე

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაამტკიცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირისათვის. დელეგაციაში შედიან: სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი (დელეგაციის მეთაური), სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ამხანაგები ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ნ. ვ. პოდგორნი, მ. ა. სუსლოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები ამხანაგები კ. თ. კატუშევი, ბ. ნ. პონომარიოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი ამხ. კ. ვ. რუსაკოვი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

გაფართოვდა ეროვნული საწარმოთა თაოსნობა ნედლეულისა და მასალების მომჭირნეობისათვის შეჯიბრების გაშლის შესახებ

საქართველოს მრეწველობის, ტრანსპორტის საწარმოთა და მშენებლობათა კოლექტივებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად და წარმატებით ანაღდებენ ბუთწლედის დავალებათა. ვადამდე შესრულების შესახებ ნაკისრ ვალდებულებებს, დღითიდღე იზრდება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მშრომელთა პოლიტიკური და შრომითი ენთუზიაზმი.

ცდილობენ რა ახალი საწარმოო წარმატებები მოიპოვონ საიუბილეო ლენინურ წელს, აამოქმედონ წარმოების ეფექტიანობის გადიდების გამოუყენებელი რეზერვები, საქართველოს საწარმოთა მოწინავე კოლექტივებმა მბურვალედ დაუჭირეს მხარი მოსკოველი ფეიქრის შ. ივანიკოვას პატრიოტულ თაოსნობას, რომლის ინიციატივით დაიწყო **შეჯიბრება ნედლეულისა და მასალების მომჭირნეობისათვის. რათა 1970 წლის 22 აპრილს საწარმოს მთელმა კოლექტივმა დაზოგილი ნედლეულით და მასალებით იმუშაოს.**

ამ ინიციატივას რესპუბლიკაში ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურნენ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მუშაკები. თბილისის № 6 საგვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორის კოლექტივმა აწონ-დაწონა თავისი შესაძლებლობანი, იკისრა დამატებითი სოციალისტური ვალდებულებანი და გადაწყვიტა დავალების გადამეტებით დაზოგოს იმდენი საწვავი, რომ ორ დღეს — 1970 წლის 21 და 22 აპრილს იმუშაოს დაზოგილი სათბობით. ამ მაგალითს მიბაძავს ქუთაისის № 4 საგვირთო, რუსთავის № 2 საგვირთო, მცხეთისა და სხვა ავტოსატრანსპორტო კანტორებმა.

ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხნის, თბილისის ქარხანა „ჰიდრომეტბელსაწყოს“, თბილისის № 4 მექანიკური ქარხნის, თბილისის საავეჯო კომბინატ „განთიადის“, თბილისის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნის“, თბილისის სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკის და სხვა საწარმოთა კოლექტივებმა გადაწყვიტეს საიუბილეო ლენინურ დღეს იმუშაონ დაზოგული ნედლეულითა და მასალებით.

დიდ სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობას ანიჭებს რა ამ თაოსნობის ფართოდ გავრცელებას, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ურჩია საქართველოს კომპარტიის სოლკომ, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს გაშალონ მასობრივ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა, რათა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უყველა დარგში ყოველი ღონისძიებით გაავრცელონ მოსკოვის საწარმოთა თაოსნობა და ამით საიუბილეო დღეს უზრუნველყონ საწარმოთა ყველა კოლექტივის მუშაობა დაზოგული ნედლეულით და მასალებით, ყოველდღიურად უხელმძღვანელონ ამ მოძრაობას, ფართო მონაწილეობა მიაღებინონ მასში პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, სახალხო კონტროლის ორგანოებს. (საქდესი).

დელეგაციების ჩამოსვლა კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირზე

კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის მუშაობაში მონაწილეობისათვის მოსკოვში ჩამოვიდნენ:

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის დელეგაცია ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ტ. ჟივკოვის მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში არიან: ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი. ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ბ. ველჩევი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. კოცევი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ამხ. მ. გალევი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საგარეო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების გამგე ამხ. ა. ტელალოვი;

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის დელეგაცია უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ი. კადარის მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში არიან: უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ზ. კოვოჩინი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების გამგე ამხ. ფ. �ეგეი;

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის დელეგაცია გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ვ. ულბრიხტის მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში არიან: გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ე. ჰონეკერი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ამხ. ფ. ებერლინი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის ცენტრალური კომისიის თავმჯდომარე ამხ. ჰ. მაბერლინ, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების გამგე ამხ. პ. მარკოვსკი;

მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის დელეგაცია მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ი. ცედენბალი მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში არიან: მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ბ.

ამსურენი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ბ. ლხამსურენი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგე ამხ. პ. შაბდარსურენი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი ამხ. ბ. ბალდო, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული „მშვიდობისა და სოციალიზმის პრობლემები“ ამხ. ც. დაკაგსურენი;

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის დელეგაცია პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ვ. გომულკას მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში არიან: პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ი. ცირანკევიჩი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ზ. კლიშკო, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის გდანსკის სავოივოდო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ს. კო

კომუნისტთა მომავალი საერთაშორისო თათბირი

მსოფლიოს კომუნისტური და მუშათა პარტიების ახლანდელი თათბირი იქნება „კომუნისტთა ყველაზე წარმომადგენლობითი საერთაშორისო შეხვედრა 1960 წლის თებერვალ ათი წლის მანძილზე. უკვე მარტო ეს გარემოება მომავალ კომუნისტურ ფორუმს პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებს.

ახალი თათბირის მოწვევის საკითხის განხილვა კომუნისტთა წრეში რამდენიმე წელიწადს გრძელდებოდა. ასჯიდეს რა ხელი ამ გარემოებას, კომუნიზმის პოლიტიკურმა მოწინააღმდეგეებმა ფართო კამპანია გააჩაღეს, „წინასწარმეტყველებდნენ“, რომ კომუნისტები ვერ შეძლებენ თათბირი მოიწვიონო. ახლა ყველა ხედავს, რომ კომუნიზმის მტრებს კოვზი ფლავ ჩაუვარდათ ნაცარში.

მოსკოვის 1969 წლის თათბირის დღის წესრიგში შეტანილი იქნება საკითხი: თანამედროვე ეტაპზე იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანები და კომუნისტური და მუშათა პარტიების, მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების ერთიანობა. თათბირის განსახილველად ამ პრობლემის დაყენების უკვე ოვით ფაქტი მოწმობს, რომ კომუნისტები შეუნელებელი ყურადღებით ადევნებენ თვალს საკითხებს, რომლებსაც მსოფლიოს ხალხებისათვის უაღრესად გადამწყვეტი, უაღრესად სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვთ. მართლაც, კომუნისტური მოძრაობის, მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების ერთიანობის განმტკიცების ამოცანას ჯერ კიდევ არასოდეს არ ჰქონია ისეთი დიდი მნიშვნელობა, როგორიც ამჟამად აქვს.

სოციალური ბრძოლები, რომლებიც მსოფლიოში 60-70-იანი წლების მიჯნაზე გაჩაღდა, განსაკუთრებული სიმძაფრით განირჩევა. მსოფლიო ისტორიის მძლავრი დინება ულმობელად სდევნის იმპერიალიზმს საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზიდან. მაგრამ განწირული ყოფილება არ აპირებს ნებაყოფლობით დაიხოვის უკან. იგი წინააღმდეგობას სწევს, და ამ წინააღმდეგობას მით უფრო გააფთრებული ხასიათი ეძლევა, რაც მსოფლიო ასპარეზზე სულ უფრო ნათელი ხდება ძალთა არახელსაყრელი თანაფარდობა იმპერიალიზმისათვის. პენტაგონის ურდოების შეიარაღებული თავდასხმა ვიეტნამზე ცხადად მოწმობს, თუ რა დანაშაულებრივ საშუალებებს მიმართავს იმპერიალიზმი, როცა ცდილობს თავისუფლებისაკენ მიმავალი გზა გადაუღობოს ხალხებს, ხელყოს მათი სოციალისტური მონაპოვარნი.

მოწოლილისტური ბურჟუაზია ყველა ღონისძიებას მიმართავს იმისათვის, რომ, ერთი მხრივ, მიაღწიოს თავისი საერთაშორისო მოქმედების კოორდინაციას, ხოლო, მეორე მხრივ, — და ეს თავარია — გათიშოს, ურიერთს დაუპირისპიროს სოციალისტური ქვეყნები, კომუნისტური პარტიები, ყველა სხვა რევოლუციური რაზმები და მოძრაობანი. ასეთი პოლიტიკა იმპერიალიზმის თანამედროვე სტრატეგიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებაა.

ამ დანაშაულებრივი საქმის სამსახურშია ჩაყენებული სულ სხვადასხვაგვარი პოლიტიკური, ეკონომიური და სხვა საშუალებანი. მსოფლიო სოციალიზმის ძალების, კომუნისტური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გათიშვის მიზნით იმპერიალიზმი ისწრაფვის გამოიყენოს აგრეთვე ზრდის სირთულენი და სიძნელენი, რომლებიც გარდუვალია სოციალისტურ ქვეყნებში ახალი საზოგადოების აშენებისას, კაპიტალისტურ ქვეყნებში მასობრივი რევოლუციური ბრძოლის გაშლისას, რასაც თან ახლავს სულ ახალი და სულ უფრო სხვადასხვაგვარი პოლიტიკური ძალების ჩაბმა რევოლუციურ პროცესში.

პროგრესის ძალებს აქვთ თუ არა იმის საშუალებანი, რომ აღკვეთონ იმპერიალისტების ეს საშიში საქმიანობა? დიახ, აქვთ. ასეთი საშუალებაა უწინარეს ყოვლისა შექმნა მძლავრი მსოფლიო ანტიიმპერიალისტური ფრონტისა, რომლის ბირთვი უნდა იყოს მუშათა კლასი თავისი კომუნისტური ავანგარდის მეთაურობით.

მსოფლიო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის მთელმა პრაქტიკამ უაღრესად დამაჯერებლად დაადასტურა: სახელდობრ პროლეტარული ინტერნაციონალიზმი შეადგენს წარმატების საწინდარს ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში როგორც მის ცალკეულ უნებებზე, ისე საერთაშორისო მასშტაბით. ამ გარემოებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ახლა, როცა სოციალისტური, ანტიიმპერიალისტური მშვიდობისმოყვარე ძალები იძენენ რეალურ შესაძლებლობას გაცილებით უფრო მტკიცე და ფართო პლაცდარმებიდან გააჩაღონ ბრძოლა ხალხთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის, ვიდრე როდისმე წინათ.

კომუნისტების ხელმძღვანელობით დედამიწაზე სამუდამოდ დამკვიდრდა ახალი მსოფლიო სისტემა — სოციალისტური, რომელიც წარმოადგენს საზოგადოებრივ ფორმაციას, კაპიტალიზმი რომ უნდა შეცვალოს. კაპიტალისტურ ქვეყნებში კომუნისტური პარტიები, დამოუკიდებლად იმისა, მასობრივი, გავლენიანი პარტიები არიან ისინი თუ ჯერ კიდევ შედარებით მცირერიცხოვან ორგანიზაციებს წარმოადგენენ, ყველგან გამოდიან თავიანთი პოლიტიკური პროგრამებით, რომლებიც იმპერიალიზმის პოლიტიკის ყველაზე რეალურ ალტერნატივას წარმოადგენენ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იმ რაიონებშიც კი, სადაც სხვადასხვა საზოგადოებრივ-ისტორიული მიზეზებით ანტიიმპერიალისტური ძალების სათავეში აღმოჩნდნენ არაკომუნისტური პარტიები, მათი ბუნებრივი დაღრუნვაში მონაწილეობის მიღების სურვილი გამოთქვეს, როგორც კომუნისტთა 1969 წლის თათბირის.

ერთ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში ბუდაპეშტში მუშაობდნენ სხვადასხვა მოსამზადებელი ორგანოები 1969 წლის თათბირის ძირითადი დოკუმენტის პროექტის შესამუშავებლად. მისი დაწვრილებითი გეგმა თავდაპირველად შემუშავდა დაახლოებით 40 მოძმე პარტიის წარმომადგენელთაგან შემდგარმა მუშა ჯგუფმა. შემდეგ რვა პარტიის წარმომადგენლებმა შეადგინეს ძირითადი დოკუმენტის წინასწარი პროექტი. ეს უკანასკნელი 1969 წლის დამდეგს განიხილეს 18 პარტიის წარმომადგენლებმა, შემდეგ — თითქმის 50 პარტიის წარმომადგენელთაგან შემდგარმა მუშა ჯგუფმა და ამის შემდეგ — მოსამზადებელმა კომისიამ, რომელშიც 67 პარტიის წარმომადგენლები შედიოდნენ. მოსამზადებელი მუშაობა, რაც გასული წლის თებერვალში ბუდაპეშტში დაიწყო, შემდეგ გადატანილ იქნა მოსკოვში, სადაც თავის დამამთავრებელ სტადიაში შევიდა.

ამ ეტაპთაგან თვითეულზე წარმოებდა ყოველმხრივი, გაცხოველებული დისკუსიები, აყენებდნენ მრავალ შესწორებასა და წინადადებას, ყველა ეს შესწორება და წინადადება განხილულ იქნა. თანამედროვე რთულ პოლიტიკურ პირობებში ესოდენ მეგრმა მომძე პარტიამ რომ მოახერხა ერთობლივად შეემუშავებინა დოკუმენტის პოზიტიური, კონსტრუქციული ერთიანი პროექტი, ეს თავისთავად წარმოადგენს მნიშვნელოვან წვლილს კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის განმტკიცებაში.

ახლა ევროპის, აზიის, ამერიკისა და აფრიკის ათობით კომუნისტურ და მუშათა პარტიაში განიხილავენ მომავალი თათბირის ძირითადი დოკუმენტის პროექტს: „თანამედროვე ეტაპზე იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანები და კომუნისტური და მუშათა პარტიების, მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების მოქმედების ერთიანობა“. საფრანგეთის, გერმანიის კომუნისტური პარტიების, ამერიკის შეერთებული შტატების, ჩილეს, პერუს, ვენესუელის, არგენტინისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების კომპარტიათა ხელმძღვანელი ორგანოები ყოველმხრივი განხილვის შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ პროექტი იძლევა კარგ მარქსისტულ-ლენინურ საფუძველს თათბირის მიერ მისი განხილვისა და მიღებისათვის.

მარქსისტ-ლენინელები ახალი საერთაშორისო კომუნისტური ფორუმის მომზადებისათვის მუშაობის დასკვნითს სტადიაში შევიდნენ მთელი რევოლუციური, ანტიიმპერიალისტური ძალების შეკავშირების საქმისათვის თავიანთი პასუხისმგებლობის სრული შეგნებით. რა თქმა უნდა, მთელი მოსამზადებელი მუშაობა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, არის კიდევ ზოგიერთი გადაუწყვეტელი საკითხი. მაგრამ კომუნისტთა რიგების ერთიანობისათვის მებრძოლთ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მიაგნონ ამ საკითხების გადაჭრის სწორ გზებს, და კიდევაც მიაგნებენ.

ივნისის შუადღის წარმატება იქნება შემდგომი წინსვლა ჩვენი ეპოქის კომუნისტური ავანგარდის ერთიანობის გზაზე, იგი ისტორიული ნიშანსვეტი იქნება რევოლუციური მოძრაობის სხვა რაზმების შეკავშირების პროცესში. ჩვენი პლანეტის ყველა კუთხეში ასეული მილიონობით ადამიანს, რომელიც მთელი არსებით ჩაიენენ იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, სწამს, იმედი აქვს, რომ მოსკოვის 1969 წლის თათბირი კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში ახალი შესანიშნავი წვლილის შეტანის მომასწავებელი იქნება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტებს, ისევე როგორც ყველა მოძმე პარტიის კომუნისტებს, ახარებს ინტერნაციონალისტური ტენდენციის გაძლიერება კომუნისტურ, რევოლუციურ რიგებში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ვ. ი. ლენინის მიერ აღზრდილია პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპისადმი თავდადებული ერთგულების სულისკვეთებით. თავის ისტორიაში არასოდეს არ გადაუხვევია მას ამ წმიდათა წმიდა პრინციპისაგან და არც არასოდეს გადაუხვევს.

იმ დროის განმავლობაში, როცა მოსამზადებელი მუშაობა მიმდინარეობდა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თანმიმდევრულად იცავდა მსოფლიოს კომუნისტური და მუშათა პარტიების უდიდესი უმრავლესობის კურსს ახალი კომუნისტური თათბირის მოწვევისათვის. იგი აქტიურად მონაწილეობდა მთელ მოსამზადებელ მუშაობაში, რომლის მიზანია ის, რომ თათბირმა რაც შეიძლება წარმატებით ჩაიაროს. საბჭოთა კომუნისტები თავიანთ წვლილს შეიტანენ კომუნისტთა ახალი მსოფლიო შეხვედრის თვით ჩატარებაშიც.

ლენინური პარტიის ეს პოზიცია მკაფიოდ განსაზღვრა თავის გამოსვლაში საპირველმაისო მიტინგზე მოსკოვში საკრ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა. „ახლა, — თქვა მან, — საბოლოო ფაზაში შევიდა მზადება კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირისათვის, რომელიც მოძმე პარტიათა ნებით გაიმართება მოსკოვში ივნისში. ჩვენი პარტია ყველაფერს იღონებს, რათა ამ თათბირმა წარმატებით ჩაიაროს და გახდეს ახალი დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი საერთო ბრძოლაში იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, ეროვნულ განთავისუფლებისა და სოციალიზმისათვის“.

ვიტალი კორიონოვი.

საერთაშორისო ცხოვრება

საბერძნეთის კომპარტიის ცკ-ის პოლიტბიუროს განცხადება

პარიზი, 4 ივნისი. (საკდესი). რადიოსადგურმა „სიმართლის ხმამ“ გადასცა საბერძნეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განცხადება გადამდგარი უმაღლესი წოდების ბერძენი ოფიცრების, აგრეთვე იმ სამოქალაქო პირთა ამნაწინანდელი მასობრივი დამატებრებების გამო, რაც მოჰყვა ჩრდილოეთ საბერძნეთში კადრის ოფიცრებს დამატებრებას. ეს დამატებრებანი, ნათქვამია განცხადებაში, გვიჩვენებენ, რომ ხუნტას სულ უფრო ეცლება ნიადაგი ფეხქვეშ, იგი სულ უფრო სწყდება ხალხს და ქვეყნის კონსერვატიულ წრეებსაც კი. ისინი აგრეთვე გვიჩვენებენ, რომ ხუნტა აძლიერებს ტერორს არა მარტო კომუნისტებისა და მემარცხენეების მიმართ, არამედ მოსახლეობის ფართო წრეების მიმართაც.

ტერორის ახალი ტალღა, ახალი დამატებრებანი და სამხედრო ტრიბუნალების მიერ გამოტანილი მასობრივი განაჩენები, აღნიშნულია საბერძნეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განცხადებაში, დაკავშირებულია აგრეთვე ნატოს დიდ სამხედრო მანევრებთან, რომლებიც ეწყობა ბულგარეთისა და იუგოსლავიის სახელმწიფოს გასწვრივ. ამ მანევრების მიზანია გააძლიერონ დაძაბულობა ბალკანეთში და აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის რაიონში, აგრეთვე მხარი დაუჭირონ ხუნტის დიქტატურას.

ხალხი მოელის პატრიოტი ოფიცრებისაგან, რომლებმაც დაიწყეს მოქმედება, ნათქვამია განცხადებაში, რომ მთელ პატრიოტულ ძალებთან ერთად იბრძოლებენ დიქტატურის რეჟიმისაგან ქვეყნის განთავისუფლებისათვის, ბერძენი ხალხის კონსტიტუციურ და დემოკრატიულ თავისუფლებათა აღდგენისათვის.

ტელეტაიპის ლენტიდან

მეკასიათასე „სირენა“

ვარშავა, 4 ივნისი. (საკდესი). დღეს ვარშავის მსუბუქი ავტომანქანების ქარხნის კონვეიერიდან ჩამოვიდა მეასიათასე მსუბუქი ავტომანქანა „სირენა“. პოლონური კონსტრუქციის მცირელიტრაჟიანი ავტომანქანების წარმოება დაიწყო 1956 წელს. მას შემდეგ მცირელიტრაჟიანი ავტომობილი მრავალ გზის გადაკეთდა. წელს ქარხანა გამოუშვებს „სირენა-104“-ის მარკის 20 ათას მანქანას.

ლაპატიმრებანი არგენტინაში

ბუენოს-აირესი, 4 ივნისი. (საკდესი). პოლიციის ხელისუფლებამ დაპატიმრეს არგენტინის მშრომელთა საყოველთაო კონფედერაციის (ოპოზიციური ორგანიზაცია) გენერალური მდივანი რაიმუნდო ონგარო. მას ბრალად დასდეს „ამბოხებისათვის წაქეზება“. დაპატიმრეს აგრეთვე რაინიგზელთა პროფკავშირის ხელმძღვანელი ანტონიო სციპიონი და მთელი რიგი სხვა პროფკავშირული ლიდერები. ამის შემდეგ პოლიციელმა ქვეგანაყოფებმა დიკაეს მშრომელთა საყოველთაო კონფედერაციის შენობა.

სდევნიან დემოკრატებს

ლონდონი, 4 ივნისი. (საკდესი). სამხრეთ აფრიკის პოლიციამ დაპატიმრა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის დემოკრატიული უფლებებისათვის მებრძოლთა კიდევ ერთი ჯგუფი. როგორც ეკატენდან იუწყებიან, გამოვიდა რა გუშინ პარლამენტში, ფოსტერის პოლიციის მინისტრმა მიულერმა განაცხადა, რომ „არალეგალური პოლიტიკური საქმიანობისათვის“ დაპატიმრებულია 36 კაცი.

წინათ იუწყებოდნენ, რომ დიაწყო პოლიციის ოპერაციები, რომელთა მიზანია ჩაახშონ რასისტული რეჟიმის მიერ აკრძალული პროგრესული პარტიის — აფრიკის ეროვნული კონგრესის საქმიანობა.

დაპატიმრებულთა შორის არის სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის აფრიკელი მოსახლეობის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის თვალსაჩინო მონაწილე ვინი მანდელა, აფრიკის ეროვნული კონგრესის ხელმძღვანელის ნელსონ მანდელას ცოლი თვით ნელსონ მანდელა რასისტებმა კუნძულ რობენის საპატიმროში ჩაამწყვდეს.

განაჩენი მაღრიდში

პარიზი, 4 ივნისი. (საკდესი). ესპანეთიდან მიღებული ცნობებით, მადრიდის საზოგადოებრივი წესრიგის ტრიბუნალმა სამ კაცს მიუსაჯა ექვს-ექვსწლიანი პატიმრობა და 10 ათასი პესეტი ჯარიმა, სამივეს აბრალებდნენ „პარლამენტარული პროპაგანდას“.

ნიქსონის გასამართლა

ვაშინგტონი, 4 ივნისი. (საკდესი). „ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ნიქსონი გუშინ გამოვიდა ქალაქ მედისონის (სამხრეთ დაკოტის შტატი) გენერალ ბიდლის სახელობის კოლეჯის და პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის წინაშე. შეერთებული შტატები, თქვა მან, „მეტად შფოთიან დღეებს“ განიცდის, ამერიკელთა ახლანდელი თაობა „აღიარებს ძველ სტანდარტებს, უარს ამბობს ძველ ღირებულებებზე და უგულებელყოფს ძველ მცნებებს“.

ნიქსონმა დაგმო მოელვარებანი სტუდენტთა ქალაქებში, რასსბრიკიდ შუღლი, წინააღმდეგობა არმიაში გაწევრიანებისადმი, დამნაშავეობის ზრდა, და ნარკოტიკების ფართოდ გამოყენება.

როგორც პრეზიდენტმა თქვა, არსებობს ამერიკელთა უფროსის და ახალგაზრდა თაობებს შორის „უთანხმოების ღრმა უფსკრული“. „ჩვენ ყოფილება ქვეყანაში და კრიტიკული დამოკიდებულება „მორალური ღირებულებებისადმი“ წარმოშვა თვით ამერიკელმა სინამდვილემ, ალნაცადა მან. „ჩვენ ვართ მოტყუების, მრავალი ფორმის — პოლიტიკური ცხოვრებაში უაზრო დაპირებების, რეკლამის დარგში მეტისმეტი პროტესნიების, ბიზნესში საეჭვო გარიგებების მოწმენი“.

აუცხადებელი პოლიტიკა

ნიუ-იორკი, 3 ივნისი. (საკდესის კორესპონდენტი ს. ლოსეევი გვაცნობებს): რ. ნიქსონის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ვადა გაუდიდოს 1949 წლის კანონს ქიმიკრეტისადმი კონტროლის შესახებ, რომელიც ფუნდამენტალურ შტატების ბაზრობას ეხება. ეს ბაზრობა საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის შეზღუდვის ერთ-ერთ ფორმად ითვლება. ეს შეზღუდვები ეწინააღმდეგება ნიქსონის მთავრობის წარმომადგენლთა განცხადებებს, რომ დადგა დრო ბრძოლის ეპოქიდან გადგომისა მოლაპარაკებისა და თანამშრომლობის ეპოქაზე.

ორი თვეზეულის მანძილზე, აღნიშნავს „ვაშინგტონ პოსტი“, ეზეროვანებმა ვაჭრობის დარგში ხელი ვერ შეუშალეს საბჭოთა კავშირის ძლიერების დიდ კანონიერებას, მათ გამოიწვიეს მხოლოდ ის, რომ ამერიკელი ბიზნესმენები უაღრესად არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ დასავლეთ ევროპისა და იაპონიის მრეწველებთან კონკურენციაში.

ამ ფონზე, ასკანის „ნიუ-იორკ ტაიმსი“ ნიქსონის გადაწყვეტილება თითქმის აუხსნელია.

კომუნისტები ასახელებენ კანდიდატებს

ბონი, 4 ივნისი. (საკდესი). გერმანიის კომუნისტური პარტია მონაწილეობას მიიღებს ქალაქების და თემების კრებათა არჩევნებში, რომელიც 8 ივნისს გაიმართება რაინლანდ-პფალცის მხარეში. მაილცში, ლუდვიგ-ხაფენსა და ფდარ-ობერშტაინში იგი გამოვა კანდიდატთა ნუსხებით. გარდა ამისა, ბევრ თემში კომუნისტები თავიანთ კანდიდატებს ასახელებენ სხვა დასავლეთ-გერმანელ დემოკრატებთან ერთად.

რაინლანდ-პფალცის მოსახლეობისადმი წინასწარჩეზნო მიმართვაში გერმანიის კომპარტია აღნიშნავს, რომ თანამიმდევრულად იბრძოლებს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის პოლიტიკის წინააღმდეგ და გაუბრალოებული აქვს თავის მოქმედებაში იხელმძღვანელოს მუშათა კლასისა და მთელი მშრომელი მოსახლეობის ინტერესებით.

პროვოკაციული სხდომები

დასავლეთი ბერლინი, 3 ივნისი. (საკდესი). აქ დაიწყო დასავლეთ გერმანიის ბუნდესტაგის მთელი რიგი კომისიების უკანონო სხდომები. სხდომებში მონაწილეობას იღებს ბუნდესტაგის თავმჯდომარე ქასელი, რომელიც სპეციალურად ჩამოვიდა ამ მიზნით დასავლეთ ბერლინში.

როგორც ამის გამო იუწყება „ვეთი“, „ფრანკფურტერ ალგემაინ“, „ბერლინერ ტაგეს“ ფურცლებიდან, ეს „ფრაქციებს“ ბონსა და ბერლინს შორის ურთიერთობის დამაყარებასთან დაკავშირებით.

ეუთოს ბაზრობა

ბონი, 4 ივნისი. (საკდესი). ეუთოს ბაზრობა ბონში, ბერლინში, ბრემენსა და ჰამბურგში ეწინააღმდეგება ევროპის ეკონომიკურ ინტეგრაციას, ამბობენ ბონელ ეკონომისტები. ეს ბაზრობა ეწინააღმდეგება ევროპის ეკონომიკურ ინტეგრაციას, ეუბნებიან ბონელ ეკონომისტებს ბერლინელ ეკონომისტები. ეუთო

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების მინის კანონმდებლობის საფუძვლების კალაში შესვლის წესის შესახებ

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის 1968 წლის 13 დეკემბრის კანონის (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1968 წ. № 51, მუხლი 485) შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. სანამ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობა შეფარდებული იქნება მიწის კანონმდებლობის საფუძვლებთან, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის მოქმედი ნორმები იქნების გამოყენება შიიძლება, რამდენადაც ისინი არ ეწინააღმდეგებიან საფუძვლებს.

2. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლების გამოყენება ხდება მიწის მართლფლრთიერთობის მიმართ, რომელიც წარმოიშობა საფუძვლების ძალაში შესვლის შემდეგ, ესე იგი 1969 წლის 1 ივლისიდან.

1969 წლის 1 ივლისამდე წარმოშობილი მიწის მართლფლრთიერთობისა მიმართ მიწის კანონმდებლობის საფუძვლების გამოყენება ხდება იმ უფლებათა და მოვალეობათა მიმართ, რომელნიც წარმოიშობა საფუძვლების ძალაში შესვლის შემდეგ.

მიწის მართლფლრთიერთობის მიმართ მიწის კანონმდებლობის საფუძვლების ცალკეული ნორმების გამოყენების თავისებურებანი დადგენილია ამ ბრძანებულების 3-8 მუხლებით.

3. დადგინდეს, რომ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლების ძე-3 მუხლის საფუძველზე ქალაქების, ქალაქის ტიპის დასახლების მიწების და სხვა მიწების ნაკვეთებით სარგებლობისათვის საჯარო ქირის გადახედვინება იმ შემთხვევებში, როცა ეს კანონმდებლობით იყო დაშვებული, შეწყდეს 1970 წლის 1 იანვრიდან.

საფუძვლების ძე-8 მუხლით გათვალისწინებული წესი არ გამორიცხავს მიწის იმ ნაკვეთების ფოგლაშენახვისა და ფუმყობესების ხარჯების ანაზღაურებას, რომლებიც დროებით სარგებლობაში იყო, ავტორთან არ აუქმებს ვადასახადების გადახედვინებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. 1969 წლის 1 ივლისამდე მიცემული მიწის ნაკვეთებით დროებით სარგებლობის უფლება შეინარჩუნებული შემდეგი ვადებით.

ა) ვადის აღუნიშნავად მოქლევადიანი სარგებლობისათვის მიცემული მიწის ნაკვეთებისა — მიწის კანონმდებლობის საფუძვლების ძე-9 მუხლით გათვალისწინებული მოქლევადიანი სარგებლობის უკიდურესი ვადის გასვლამდე საფუძვლების ძალაში შესვლის დღიდან, ხოლო განსაზღვრული ვადით მიცემული მიწის ნაკვეთებისა — ნაკვეთის მიცემისას დადგენილი ვადის გასვლამდე;

ბ) კონკრეტული ვადის აღუნიშნავად ბრუნვადიანი სარგებლობისათვის მიცემული მიწის ნაკვეთებისა — საფუძვლების ძე-9 მუხლით გათვალისწინებული ბრუნვადიანი სარგებლობის უკიდურესი ვადის გასვლამდე საფუძვლების ძალაში შესვლის დღიდან;

გ) იმ წინასწარ გაანსაზღვრული ვადით ბრუნვადიანი სარგებლობისათვის მიცემული მიწის ნაკვეთებისა, რომლის გამოუყენებელი ნაწილი მიწის კანონმდებლობის საფუძვლების ძალაში შესვლის მომენტისათვის არ აღემატება ამ სახის სარგებლობის მინიდგენო საფუძვლების ძე-9 მუხლით გათვალისწინებულ უკიდურეს ვადებს, — ნაკვეთის მიცემისას დათქმული ვადის გასვლამდე, ხოლო უკიდურესი ვადების გადამეტების შემთხვევაში — ამ მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული ვადით.

5. შეიმდგომლობა მიწის ნაკვეთების სარგებლობისათვის მიცემის შესახებ, რომელთა გამო არის მიღებული კომპეტენტური ორგანოების გადაწყვეტილებანი მიწის კანონმდებლობის საფუძვლების ძალაში შესვლის მომენტისათვის, ნიბადართულია იმ წესით და პირობების დაცვით, რომლებიც გათვალისწინებულია საფუძვლების ძე-10 და ძე-13 მუხლებით.

1969 წლის 1 ივლისამდე შესაბამისი ორგანოების მიერ მათი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებანი მიწის ნაკვეთების სარგებლობისათვის მიცემის შესახებ, რომლებიც შესრულებული არ არის მიწის კანონმდებლობის საფუძვლების ძალაში შესვლის მომენტისათვის, უნდა შესრულდეს საფუძვლების მოთხოვნების შესაბამისად.

6. მიწის კანონმდებლობის საფუძვლების ძალაში შესვლამდე სარგებლობისათვის მიცემული მიწის ნაკვეთებზე საფუძვლების ძე-11 და ძე-17 მუხლებით გათვალისწინებული წესი მიწების რეკულტივაციის შესახებ ვრცელდება იმ შემთხვევებში, თუ ამ ნაკვეთებით ადგილი სარგებლობენ შესაბამისი საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები 1969 წლის 1 ივლისის შემდეგ.

მიწის იმ ნაკვეთების რეკულტივაციის მოვალეობანი, რომლებით სარგებლობაც შეწყდა 1969 წლის 1 ივლისამდე, სრულდება წესით, რომელიც დადგენილია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლების ძალაში შესვლამდე.

7. მიწათსარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძვლების შესახებ მიწის კანონმდებლობის საფუძვლების ძე-14 და ძე-15 მუხლების წესების გამოყენება ხდება იმ შემთხვევებშიც, როცა მიწის ნაკვეთები მიცემული ჰქონდათ საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და მოქალაქეებს 1969 წლის 1 ივლისამდე.

საფუძვლების ძე-15 მუხლის წესი, რომელიც ითვალისწინებს, რომ შეიძლება შეწყდეს მიწის ნაკვეთებით სარგებლობის უფლება, თუ მათ ზედიზედ ორი წლის განმავლობაში არ იყენებენ, ვრცელდება 1969 წლის 1 ივლისის შემდეგ ნაკვეთების გამოუყენებლობის შემთხვევებზე. თუ მიწით მოსარგებლე არ შეუდგა მიწის ნაკვეთის გამოყენებას 1969 წლის 1 ივლისამდე, მიწის ნაკვეთებით სარგებლობის უფლების შეწყვეტის პირობები განისაზღვრება საფუძვლების ძალაში შესვლამდე დადგენილი წესით. მაგრამ ამასთანავე ისე, რომ ვადა, რომლის მანძილზე ნაკვეთი გამოუყენებელი არ ყოფილა, არ აღემატებოდეს ორ წელიწადს 1969 წლის 1 ივლისის შემდეგ.

8. დადგინდეს, რომ მიწის კანონმდებლობის საფუძვლების 47-ე მუხლის წესი, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო ხარჯზე მიწათმოწყობის სამეშოთა განხორციელებას, გამოყენებულ იქნება 1970 წლის 1 იანვრიდან. დატოვებულ იქნას 1969 წლისათვის მიწათმოწყობის სამეშოთა ანაზღაურების მოქმედი წესი.

9. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებანი შეუსაბამოს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1969 წ. 4 ივნისი.

კერძები — გემრიელი და იაფი

კოოპერატორთა ნაკაკაშვირი სემინარი

საფოსტალიარებლო კოოპერაცია დიდი მრავალდარგოვანი ორგანიზაციაა, რომელიც ხელს უწყობს ქალაქისა და სოფლის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიური ურთიერთობის გაფართოებასა და განმტკიცებას, ეხმარება ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომი ამაღლების ამოცანების წარმატებით გადაჭრას.

უკანასკნელ წლებში მეტად პროგრესული გარდაქმნები მოხდა სოფლად. ამასთან დაკავშირებით კოოპერაციული ვაჭრობა გაღდებულია მხარდამხარ მიპყვებოდეს განვითარების ამ ეტაპს. სისტემატიურად ამაღლდეს ფ ი ს, უფმჯობესებდეს და სრულყოფდეს თავის საქმიანობას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოთხოვნილების დონეზე აშენებდეს ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების და სხვა დანიშნულების ობიექტებს. პრაქტიკულ საქმიანობაში ნერგავდე და ავითარებდე ახალ, პროგრესულ ფორმებს. საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მომსახურება სოფლად უმასუხებდეს დღევანდელობის მოთხოვნებს.

უკანასკნელ წლებში საქართველოს რაიონებსა და სოფლებში აშენდა საზოგადოებრივი კვების შესანიშნავი ობიექტები. ფირთოდ დაინერგა კომფორტულობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა კვება. უშუალოდ მინდვრებში, ალანტაციებსა და ფერმებში, სოფლის მშრომელთა ამ სახეობის მეცხოველეობის წარმატებისათვის რეკონსტრუქციის კოოპერატორებმა ათიათრიოდ მოიპოვეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილეობის უფლება. შარშან ქართველ მემინდვრეებსა და მეცხოველეებს უშუალოდ სამუშაო ადგილზე მიჰყიდეს 5.200 ათასი ცხელი კერძი.

ამჟამად ჩვენი ქვეყნის სოფლებსა და რაიონებს ემსახურება 72.5 ათასზე მეტი სასადილო, კაფე, რესტორანი, სპეციალიზებული სასაუზმე. ამ ობიექტებს ერთდროულად შეუძლიათ მიიმსახურონ 1.883 ათას კაცს. წელს საზოგადოებრივი კვების კოოპერატიულ საწარმოთა საქონელბრუნვა გეგმის მიხედვით შეადგენს 2.252 მილიონ მანეთს.

სოფლის მოსახლეობის საზოგადოებრივი კვების შემდგომ გაუმჯობესებასა და მოწინავე გამოცდილების ურთიერთგაზიარებას მიეძღვნა სსრ კავშირის კოოპერაციის საზოგადოებრივი კვების მუშაკთა სემინარი, რომელიც თბილისში 26 მაისს გაიხსნა და მუშაობა დაამთავრა 3 ივნისს.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ სამომხმარებლო კოოპერაციათა რესპუბლიკური და საოლქო კავშირის საზოგადოებრივი კვების სამმართველოებისა და განყოფილებების უფროსები, ჩვენი ქვეყნის კოოპერაციული უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების მასწავლებლები, საზოგადოებრივი კვების გაერთიანებათა დირექტორები, ჩვენი რესპუბლიკის რაიკავშირების ტექნოლოგები.

სემინარი გახსნა ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ **ნ. ჯაფარიძემ.**

მოხსენება იმაზე, თუ როგორ სრულდება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი „საზოგადოებრივი კვების შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, და 1969 წლის ამოცანებზე გააკეთა სსრ კავშირის სამომხმარებლო საზოგადოებათა კავშირის საზოგადოებრივი კვების განყოფილების უფროსმა ცენტროსოიუზის გამგეობის წევრმა **ვ. ნაგულინმ.**

იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი საზოგადოებრივი კვების შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების შესახებ, და საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის 1969-1970 წლების ამოცანებზე მოხსენება გააკეთა ქუთაისშირის საზოგადოებრივი კვების სამმართველოს უფროსმა **ბ. კილაძემ.**

ინფორმაცია საქართველოში საზოგადოებრივი კვების ახალი ობიექტების დაპროექტებისა და მშენებლობის შესახებ გააკეთა ცენტროსოიუზის საპროექტო ინსტიტუტის თბილისის ფილიალის მთავარმა არქიტექტორმა **ლ. მუშკუდიანმ.**

მოხსენებათა გამო სიტყვებით გამოვიდნენ თბილისის კოოპერაციული ტექნიკუმის დირექტორის მოადგილე **ბ. ყაბეიშვილი.** ლენინის სამომხმარებლო კავშირის საზოგადოებრივი კვების ადგილობრივ ინსპექტორი **ე. მანდელბაუმი,** უკრაინის სამომხმარებლო კავშირის საზოგადოებრივი კვების სამმართველოს უფროსი **ვ. ნეკმივაკო** და სხვები.

სემინარის მონაწილეები ესტუმრნენ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მთელი რიგი რაიონების საზოგადოებრივი კვების ობიექტებს, კულინარებმა ერთმანეთს გაუზიარეს მუშაობის გამოცდილება, ისაუბრეს კერძების დამზადების ხელოვნებაზე.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

ამხ. ბ. ბ. რაზმაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

„ვანახშირის მრეწველობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დამადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის უფროსი ამხ. გიორგი გიორგისაძე **რაზმაძე** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კპაფაძე

თბილისი,
1969 წლის 4 ივნისი.

მიფრინავს „კოსმოსი-285“

1969 წლის 3 ივნისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-285“, თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკავშირო 16 მარტს. (საკავშირო).

5-20 ივნისი

მეგობრობის გასტროლები

დღეს თბილისში მაიმართება ლოკის დიდი თეატრის პირველი სპექტაკლი

პოლონელ სტუმართა სიტყვა

ზიგმუნდ ლიატოშევსკი,

სამხატვრო ხელმძღვანელი,

მინდა უპირველეს ყოვლისა მივესალმო ქართველ მეგობრებს! ბედნიერად ვგრძნობთ თავს, რომ საქართველოში ვიმყოფებით და საშუალება გვექნება გავაცნოთ შეტად მუსიკალურ ქართველ საზოგადოებრიობას ჩვენი ეროვნული მუსიკა. მღელვარებით ველით ფარდის ახდას. ვგრძნობთ — თბილისში ჩვენი გასტროლები დიდი გამოცდა იქნება და კეთილ საყოფსაც გამოიღებს.

მაღე შეხვედრამდე, საოპერო თეატრის სცენაზე, ძვირფასო მეგობრებო!

ვიტოლდ ბორკოვსკი,

მთავარი ბალეტმეისტერი, პროფესორი,

ჩვენი თეატრის ქორეოგრაფიული დასი ძალიან ახალგაზრდულია, სულ ორი წელია, რაც ვმუშაობთ. დასი შედგება 85 კაცისგან. უკვე დაედგით და პოლონელ მაყურებელს ვუჩვენეთ ლომპოზიტორ ლ. რუჟიეცკის „პან ტვარდოვსკი“, რომელსაც თბილისელ მაყურებელიც გაეცნობა ჩვენი გასტროლების დროს, აგრეთვე განეახორციელეთ ს. პროკოფიევის ბალეტი „რომეო და ჯულიეტა“.

დასი მუშაობს ბ. ჩაიკოვსკის ბალეტ „გედის ტბაზე“. წამყვანი სოლისტები აოთან კასიმოვ ვნოლი, ელადიმერ ტრახევსკი, იანანა ნერო

ხალხით გაჭედილ დარბაზში...

რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრის გასტროლები მოსკოვში

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრის გასტროლები მოსკოვში წარმატებით მიმდინარეობს. მოსკოვის სამხატვრო თეატრის ფილიალის დარბაზი, რომელიც 1.200-ზე მეტ მაყურებელს იტევს, ხალხით არის სავსე, მიუხედავად ენის უცოდინარობისა, სცენასა და მაყურებელს შორის სასურველი კონტაქტი დამყარდა. ჩვენ გავესაუბრეთ მოსკოველ თეატრალური ხელოვნებისა და კინოხელოვნების ცნობილ მოღვაწეებს და გვინდა ჩვენს მკითხველებს გავუზიაროთ მათი აზრი.

პაველ მარკოვი (პროფესორი): ახლახან დავბრუნდი სპექტაკლიდან და შემიძლია გაგიზიაროთ შთაბეჭდილება. სპექტაკლი ძალიან მომეწონა. ჯორკის „ფსკერზე" საინტერესო სპექტაკლია თავისი მკაცრი და ამავე დროს ნათელი გადაწყვეტით. ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება, რომელსაც ამ დადგმიდან მეიგრძნობთ, არის სპექტაკლის ყველა კომპონენტის დაქვემდებარება მთავარი, გამჭოლი აზრისადმი, რომელსაც წარმართავენ რეჟისორები.

მსახიობების მეტად სერიოზული დამოკიდებულება მათ მიერ განსახორციელებული მერეკლისა და სარეთოდ სპექტაკლისადმი, ჯორკის პიესებისათვის დამახასიათებელი ანსამბლურობის არა მარტო გაგება, არამედ ორგანული შეგრძნება, აღტაცებას იწვევს.

მარია ანდეელი (რსფსრ სახალხო არტისტი, მოსკოვის თეატრალური ინსტიტუტის რეჟისურის კათედრის გამგე): ჯორკის „ფსკერზე" ერთ-ერთი ურთულესი დრამატული ნაწარმოებია. იგი გვაოცებს თავისი ღრმა აზრით და შინაგანი სტრუქტურით. თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ რუსთავის თეატრმა ბრწყინვალედ გადაწყვიტა ეს ამოცანა. სპექტაკლი მომეწონა თავისი სერიოზულობით, რეჟისორული ფერმკრთალი გადაწყვეტით, თამაშის მანერით. სპექტაკლის საერთო ინტონაცია ცოცხალი და რეალისტური, მოკლეზეთია ყოველგვარ ყალბ პათეტიკას, სპექტაკლი გვაოცებს თავისი სიმახვილით, თავისთავადი სახიერ-პლასტიკური გადაწყვეტით. თ. სუმბათაშვილს მეტად საინტერესოდ და ორიგინალურად გადაუწყვეტია სპექტაკლის მსატვრობა. ის თავის მომწვანო-ოქრო ფერითა და სიღრმით, ბაუთავებული კიბეებით და ოდნავ შემოჭრილი სინათლის სხივით მართლაც საოცარ შთაბეჭდილებას ტოვებს.

მიზანსცენები დახვეწილია. არც ერთი არ ატარებს თვითმიზნურ ხასიათს.

მინდა აგრეთვე განსაკუთრებით აღვნიშნო მოქმედ გმირთა საოცარი ინდივიდუალობა და ამავე დროს შეკრული ანსამბლურობა. სასიხარულოა, რომ თეატრს ჰყავს ასეთი დასი, რომ მსახიობები ასე კარგად მეტყველებენ. ქოძრაობენ, ფლობენ პლასტიკას. მოდიხართ სპექტაკლიდან და თან მოგყვებათ ო. მეღვინეთუხუცესის სატინის აზრიანი თვალების გამომეტყველება, ამმოხი სულის ადგილქმა, თ. არჩვაძის ვასკა პეპელის ვაკაცური შემართება. ს. ნიოროს ნ. გორგილაძის მიერ ქრისტიანის ხმა ხასიათ გადაწყვეტა. როგორც ეს, მას მსახიობები საოცრად პრიმიტიულ, გონებაჩლუნგ ადამიანად წარმოგვიდგენენ. თუ გორგილაძის ქრისტიანს სარანსოსებული მეგრეშეტყველება აქვს, სამაგიეროდ, იგი აღსავსეა მაღალი სულითა და ჭაბუკური შემართებით. ანსამბლურობასთან, რეჟისორულ ფერწერასთან დაკავშირებით ძირითადად ეგიეგი ეპითეტები მეგადება, რაც წინა ორ სპექტაკლზე.

ბალინა ვალნუკი (სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, თეატრ „სოვრემენნიკში" ჯორკის „ფსკერზე"-ს დამდგმელი): რუსთავის ახალგაზრდული თეატრის მიერ ჯორკის ასეთი საინტერესო წაკითხვა მის ერთ-ერთ სერიოზულ გამარჯვებად მიმაჩნია. ქართულ თეატრში ჯორკის პიესას გამარჯვება სახიმოვნო ფაქტია. ყურადღებას იპყრობს სპექტაკლის რეჟისორული ჩანაფიქრი, მხატვრული გადაწყვეტა. მსახიობები სიფაზე ცხოვრობენ, განიცდიან. განსაკუთრებით მინდა გამოვყო ადამიანისადმი რწმენის სიდიადის შეგრძნებით გაჯერებული სატინი — ო. მეღვინეთუხუცესი. მსახიობისათვის ეს არის ის ბოლო აკორდი, რომელიც ჯორკის პიესის მთელ არსშია ჩაქსოვილი. სხვა მსახიობებიდან მინდა აღვნიშნო ბარონის როლის შემსრულებელი ი. უჩანეიშვილი, საოცარი მომხიბლველობის მქონე მსახიობი თ. არჩვაძე — ვასკა პეპელი, რომელსაც კინოფილმებიდანაც ვიცნობთ, და მ. მაჩაბელის ნატაშა.

ვ. პოროსტალლოვი (დრამატურგი). ავტორი პიესისა „ასი წლის შემდეგ": როგორც ავტორს ძალიან მომწონს თეატრის ნამუშევარი. მომეწონა სპექტაკლი თავისი სერიოზულობით, რეჟისორული ხელწერის ლაკონურობით, გამომსახველი აქტიორული ინდივიდუალობისა და ოსტატობის დემონსტრირებით. ამ დასკვნას მარტო ჩემი პიესის დადგმის მიხედვით როდი ვაკეთებ — მაშინ ეს მიკერძოება იქნებოდა. ჩანახატ-ჯორკის „ფსკერზე", „სირანო დე-ბერჟერაკი". ამიტომ ჩემი დასკვნები დასაბუთებული და მყარია. მიხარია, რომ შემოქმედებითად ასეთი საინტერესო, ნიჭიერ კოლექტივის შეხვედრა მოშამბში.

გაზეთ „კომუნისტის" სამუალებით მინდა მადლობა გადავუხადო თეატრს, რეჟისორს, მსახიობებს.

ც. ყიფიანი.

ჩვენი სპეც. კორ.

მოსკოვი, 4 ივნისი.

• • •

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან „ფსკერზე". მარცხნივ — სატინი — ო. მეღვინეთუხუცესი, მარჯვნივ — ბარონი — ი. უჩანეიშვილი.

ფოტო მ. ბაბოვისა.

ვ. მ. კაჭარავა



ბარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი სოფლის მეურნეობის დარგში. საქართველოს მეგბალეობის, მეფენახეობისა და ღვინიერობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეხილეობის კათედრის, ბაღნაოფლების, ბაღეგი მეცნიერების, დოცენტი ბ. ლ. ... მოღვაწე. პროფესორი პეტრე მიხეილის-ძე კაჭარავა.

ბ. კაჭარავა დაბადა 1903 წელს 4. ქეთაოსში, 1925 წელს დამთავრა სამუალო სკოლა, ხოლო 1930 წელს — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მებალეობა-მეფენახეობის ფაკულტეტი.

ასპირანტურის წარმატებით დამთავრების შემდეგ იგი დატოვებულ იქნა მებალეობის კათედრაზე ასისტენტად, ხოლო 1938 წელს არჩეულ იქნა კათედრაზე დოცენტად. ბ. კაჭარავა მრავალი წლის განმავლობაში ემსახურებოდა სოციალისტური სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კადრების მომზადების კეთილშობილურ საქმეს და ამის პარალელურად იწეოდა კვლევით საქმიანობას მეხილეობის პრობლემური საკითხების გადასაწყვეტად.

ბ. კაჭარავა სამამული ომის აქტიური მონაწილეა. 1946 წელს დემობილიზაციის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეხილეობის კათედრას და შეთავსებით ეჭირა სკრის მეხილეობის საცდელი სადგურის ჯერ ავორტექნიკის განყოფილების გამგის, ხოლო 1952 წლიდან 1959 წლამდე დირექტორის თანამდებობა.



1959 წელს პროფესორი ბ. კაჭარავა გადმოყვანილ იქნა საქართველოს მებალეობის, მეფენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში მეხილეობის ავორტექნიკის განყოფილების მუშაობისა და მეცნიერებისადმი. ... ...